

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВТ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზბა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., ხანისთვის — 3 მ., ერთს თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფაილანსის რედაქციაში
გზით ასობზე 1 კაპა, ჩვეულებრივს ცი-
ნებზე — 5 კაპ., შაბათით — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გა-
სწოროს და შეანოკლოს დასაბეჭდათ
გამოგზავნილი ნუსხები. დაუბეჭდე-
ლი ნუსხები ავტომატურად დაუბრუნ-
დება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დ. მ. კავკასიის ნამოსტნიკის დღე-
სასწაულის გამოს, ხვალ, კვირას,
გაზეთი არ გამოვა.

განცხადება

მუთაისის ძალაქის გამგეობა ამით
აცხადებს, რომ ძალაქის ამომრჩევე-
ლებთან სივრცე საყოველთაოდ გამოცხად-
ებული იქნება 15-ს ამა ოქტომბ-
რის თვეს და რომ ამ რიცხვიდამ, ორი
კვირის განმავლობაში, ძალაქის მცხოვ-
რებთა აქვს უფლება, თანახმად 1974
სტ. მე-11 ტომში, ნაწ. 1, განაცხადონ
ხსენებულს გამგეობაში თავიანთი საჩი-
ვარი სივრცეში იმათგან შენიშნულთ ყო-
ველგვარს შეცდომილებზე.

(1—1)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადო-
ვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში,
№ 33

ფელტონი

ალავერდოვა კახეთში

(დასასრული*)

საქართველოს ერთი მეთევანს დიდათ
გლოვდა. იმის ნაწილები დიდის დაღ-
დებით ალავერდის ტრაპეზში დასაფ-
ლავეს, რომელიც დღესაც იხილება
და ზვიდამ წარწერა კი არა აქვს. ამას
გარდა აქ არიან დაფლულნი შემდეგი
პირნი: მეფე ალექსანდრე თავის შვი-
ლით ბიორგით, რომელიც მოჰკლა სამ-
შობლოს და სარწმუნოების მტერმა
ძოსტანტინემ და აგრეთვე რუსთავის
ეპისკოპოსი პავლე და იოვანე ალა-
ვერდელი. აქავე არის საფლავი თეო-
მურაზ მეფისა, რომელიც ქალაქ ასტრ-
ბადოდა მოასვენეს, კიდევ ლავითი, დე-
ლოფალი ანა და ანა ირაკლი პირ-
ველის მეუღლე, ქალი მათი მღენე და

ძალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღ-
რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВТ Тиф-
лисъ. Въ редакцію газ. „Дროзба“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი.
1 სექტემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგ-
ზავით — სამი მანეთი.

საქართველო

დღიური

* * * ახლად-შემოერთებულ ბათუმისა
და ქარსის მაზრებიდამ რუსეთის სახელ-
მწიფო ხაზინას თუ „აშარისა“ (მამულე-
ბის შემოსავლის მეთედი წილი) და
თუ სხვა გადასახადის შემოსავალი ჰქონ-
და სულ ოთხასი ათასი მანეთი. ახლა,
რადგან ამ მაზრებიდამ ხალხი გადავიდა
ოსმალეთში და ზოგიც კიდევ აპირებს
გარდასახლებას, ამის გამო მომავალ წე-
ლიწადებში ხაზინა აქედამ, ოთხასა ათასი
მანეთის მაგივრად, სულ ორას-ორმოც-
და-ათი ათას მანეთს წლიურ შემოსა-
ვალს მოეღოს.

* * * არტანდამ მიგვივიდა შემდეგი
ყურადღების ღირსი ამბავი:

ამას წინათ იქ დაუტყვრიათ ერთი
ქურდთაგანი, რომელიც თავის ამხანა-
გებიან ერთად დადიოდა თურმე არტა-
ანში და იმის მაზრაში და აწუხებდა,
სცარცვავდა ხალხს; ეს დატყერილი ქარს-
ში გაუგზავნიათ განსასამართლებლად.
სოტა ხანს შემდეგ, პოლიციას დაუტყ-
რია ერთი ამის ამხანაგი, რომელსაც
ჩვენების ჩამორთმევის დროს უთქვამს,
ნაქურდალი ნიეთები იმ ქარსში გაგზავ-
ნილ ქურდის სახლში არის დამალუ-
ლიო. შუ. რაზდერიშინს იმ წამსვე გა-
უგზავნია ზეთები დანიშნულ ადგილას,
გაუჩხრეკიათ სახლი და მართლაც ზო-
ზიერთი ნიეთები უპოვნიათ.

საუბედუროდ, ჟანდარმები ამით არ
დაკმაყოფილებულან: იმ სახლში უნა-
ხავთ ერთი ვილაც მამადიანის ქალი,
ამბობენ, ქურდის ცოლიაო, დაუტყვრიათ
და რამდენამე კაცს გაუუჰატიურებიათ...

ეს ამბავი ელვასავით გაგროვებულა;
იმ წამსვე მთელს არტანის მაზრაში,
უჩივლიათ მაზრის უფროსთან შუ. რაზ-
დერიშინთან; მაგრამ ვერაფერი კმაყო-
ფილება ვერ მიუღიათ იმისაგან.

ჩვენი კორრესპონდენტი გვარწუ-
ნებს, რომ ამ შემთხვევის შემდეგ და
გამოსობით, ხალხი საშინლად აღელ-
ვებული არისო და ვისაც არ ჰკითხავთ,
ყველა ოსმალეთში გადასახლებას აპი-

აგრეთვე მეფის ქალი მოლოზანი მაკ-
რინე.

შველას საფლავებზე წარწერები აღარ
ეტყობათ. მე გავარჩიე შემდეგი წარწე-
რები და გადმოვწერე კიდევ: ერთ
ქვაზე შემდეგი ვიხილე:

„ჰეი შენ სამებით ერთო ნათელიო,
განუყოფელო, არა არის-რა არსად მომც-
თუნებელი, რომელიც მსგავსად და ხა-
ტად შეჰქმენ ძიწისა, რომელი არის მამა
ჩვენი ალაძი და თავისა უფლად ჰყავ
და დაარწმუნე უცთურობა ვინაითგან
იქმნა მტერმან ბოროტმან ეშმაკმან
გესლითა მით სასიკვდილო გამოტოვა
თავისთვის სიკვდილა ბიერე ბი. მტერ-
სა ბოროტთა და მიწადვე მიქცევა დაე-
საჯე სწწილეობათა ყოფად მიწა ხარ და
მიწადვე მიქცე, ამასა ვალსა თავსა მო-
ნელებით სიკვდილისა მწორისა სასმლი-
სა შესმევადმე ძახთა მეფის მრეკლე
თანამემცხედრე დედოფალი მეთევანი
მდებარე ვქმენ მეფეთ სამარხთა ამასა
შინა, რათა საცნაურად იხილებოდეს
ტაგრუტი ესე და მრავალთა მიერ შენ-
ლობა წარმოსთქმიდეს ქრისტესით. უ.
დ. ს.

მეორე ქვაზე შემდეგი ვიხილე:

„ჰი შენ დიდებულო და დიდისა მე-
ფისა მხნე მხედარმა ბიორგი შენთა
სურვილითა ცვაფრით(?) შენთან მინ-
დობილმან აქ მოსრულმან მენახა: მას
ჟამსა ოდეს სამეფოსა საქართველოსა
განგავებდით ჩვენ მეფის თეიმურაზის
ძის წულმან მრეკლემ ვიხილე მამისა
ჩვენი და ვითისა აგორიანთა განწამე-
ბულისა და ზედა მდებარე ვქმენ ქვა ესე
მარმარილოსი. მანც იხილოთ, შენდო-
ბას ღირს ჰყავთ.“

მესამე ქვაზე შემდეგი გავარჩიე და
გადმოვწერე:

„ჩ. ლ. ი. მ. 1716 წ. დიდება მოწ-
ყალებისათა შენთა. არა-რასაგან ზემოთ
დამტკიცებული მხედარი და დედა ძანთა
მეფისა ლავითისა და სასურველი მშო-
ბელი საქართველოს დედოფალთ დე-
ლოფალი მღენესი, რომელმან შემიმკო
საფლავი ესე ჩემი. მართლისა და ძანე-
თის შემაერთებს მოსურნე, მხვეალი
და მსასობელი წმიდისა ამს დედოფალი
ანა ყოფილი ანასტასიაღ.“

ამავე საფლავის გვერდზე ასაფლავია

*) „დროება“, № 211.



რებსო, ერთხმად ამბობენო, რომ ჩვენ აქ დასადგომი პირი არა გვაქვსო..

* * ჩვენ მივიღეთ გუშინ ტელეგრამა მუთისილად, რომლითაც გვაცნობენ, რომ იქ ჩაბრძანებულა მისი მაღალ-ყოვლად-სამღვდლო საქართველოს ეგზარხოსი იოანე იკი, რომელიც იქედამ დაუყოვნებლივ სამეგრელოში გამგზავრებულა და სამეგრელოდამ ბათუმში უნდა წავიდეს. მგზარხოსი, როგორც გვწერენ, რევიზიისათვის დაიარება. იმერეთის ეპარხიაში რევიზიას ბათუმიდამ რო დაბრუნდება, მაშინ მოახდენს.

* * მომავალ ორშაბათს მთელიისის ძალაქის რჩევის სხდომას, სხვათა შორის, ძალაქისათვის სასაფლაო ადგილის ამორჩევაზედ ექნება სჯა.

„ღ რ ო მ ბ ა“ კორრესპონდენცია

(დასასრული)

ზამო-იმატითილამ, 3 ოქტომბერა.

ლოლონადის ხელშიაც გვარიანად მიდიოდა ჩვენი შკოლის საქმე; იმას ბავშვებიც ბლომად ყვანდა და წერა-კითხვისაც რიგიანათ ასწავლიდა სანაძლისაც იყო. მაგრამ არც ეს დარჩენილა ჩვენ შკოლაში დიდხანს, ერთი წლის მეტი არ გაგრძელებულა იმისი სწავლება, მერე ისიც რაღაცა მიზეზით, რომელიც ჩვენ არ ვიცით, დაიხრევა უფ. ტროიემ. დარჩა ჩვენი შკოლა ისევე უმასწავლებლოთ რამოდენიმე ხანს.

ლოლონადის შემდეგ უფ. ტროიეს წარმოედგინა ჩვენ ში მასწავლებლათ ერთი ვილაც შენგელია. მოვიდა თუ არა ის,

მაშინვე ვიცანით, რომ იმისგან ჩვენი შეილები ბევრს ვერას ისწავლიდნენ; მაგრამ უარი მაინც აღარა გვითქვამს, მივიღეთ ჩვენც მასწავლებლათ, ვინ იცის იქნება ეს კაცი შემდეგისათვის შევვრჩეს და კარგიც გამოდგეს, ვფიქრობდით ჩვენ; მაგრამ თქვენს მტერს ნურა გამოდგომა, ჩვენ შენგელია საბოლოოვით გამოგვადგა.

მართალია, იმას ყოველიფერი მზათ დახვდა და იმის მხრით აღარაფერი აღარ იყო საზრუნველი, გარდა ბავშვების სწავლებისა; მაგრამ იმას არც ამ უკანასკნელზე შეუწყუბებია თავი ამ წუთი სოფლის გამყოლით: ყმაწვილი იყო და, რომ ამ მიყრუებულ სოფელში არ მოსწყენოდა, მოსვლისათანავე ჩვენებურ თავად-აზნაურობას გაცნო და იმათთან დაიჭირა კავშირი. მე ხომ არაფერი, ამისთვის იმას ვინ დაძრახვდა, რომ რიგიანათ მოქცეულიყო და თავისი მოვალეობაც აღესრულებინა; მაგრამ იმ დროცვლამა ამ ხალხთან გაცნობით ისე დაივიწყა თავის მოვალეობა, რომ აღარც კი ახსოვდა, რომ ის ჩვენში იყო მოსული ბავშვების სასწავლებლათ და არა დროს გასატარებლათ. ბოლოს ამ ჩვენში პედაგოგმა ერთ აქაურ აზნაურის ქალზე ჯვარაც დაწერა და ამის შემდეგ შკოლა სრულიად მიატრევა. ახლა იმისი საქმე იყო დაირა, ცეკვა და სხვ. ამისთანები. ასეთი იყო ჩვენი სასწავლებლის ბედი; საწყალი ჩვენი შეილები კლასში სიცივისაგან ძრწოდნენ, იმათი მასწავლებელი კი ჩიტებზე ნადირობდა!

დიდხანს უყურეთ ამ ჩვენ მასწავლებელს; გვეგონა გასწორდებოდა, მაგრამ ის თან-და-თან უმატებდა თავის გულგრილობას.

ბოლოს ჩვენი საზოგადოებაც გამოვიდა მოთმინებიდგან: ეს კაცი ჩვენ შეი-

ლებს არაფერა ასწავლიდა, მაშინვე შეილები მაინც რაღათ გვეყვებოდნენ, საზოგადოება აუტყდა შენგელიას და ტროიეს უნებურათ გააკლო.

ამითი გათავდა ჩვენი სასოფლო შკოლის ბედი. შენგელია დაითხოვეს 1876 წ. და ამ წლიდგან ჩვენი შკოლაც გაუქმდა. მართალია, ამის შემდეგაც იყვნენ ჩვენში მასწავლებლათ წარმოდგენილი უფ. ტროესაგან ჯერ ი. ძაპანაძე და მერე ზ. ტერცვაძე, მაგრამ დაშინებულმა ხალხმა არცერთი იმათგანი აღარ მიიღო.

ახლა გვიბრძანეთ: შეიძლება თუ არა ამის შემდეგ, რომ კაცელი საზოგადოებისაგან შკოლის უმღომილოება მივაწეროთ იმას, რომ ეს საზოგადოება თავისი უკუწერებით ვერ გრძნობს შკოლის სარგებლობას და ამასათვის უარს ამბობს იმის გახსნაზე? რასაკვირველია, არა!

მთუ კი ჩვენ საზოგადოებას მაშინ უგრძნობია შკოლის სარგებლობა და კიდევაც დაუარსებია, როდესაც სხვა საზოგადოებებს მოგონილიც არ ჰქონიათ ეს საქმე, ახლა რამ დაივიწყებინათ იმათ ეს სარგებლობა? ჯერ ჩვენ საზოგადოებაში მყოფმა მასწავლებელმა შენგელიამ, რომელმაც არაერთი წაყვანილი არ გვაჩვენა, მერე იმისმა მასწავლებლათ გამომწესებელმა უფ. ტროემ.

უფ. ტროემ ყველა მასწავლებლობას აძლევდა, თუ კი თხოვდა, ვისაც ორი სიტყვა რუსული ესწავლა და სეროუკი ჩაეცვა; ამისათვისაც მთელ იმერეთში და განსაკუთრებით ჩვენ შორაბნის მაზრაში ძვირათ ნახავთ იმისთანა სასოფლო შკოლის მასწავლებელს, რომელსაც თავისი საქმე რიგიანად ესმოდეს. მეინი არიან უმეტეს ნაწილად მუთისის სასულიერო სასწავლებლის მეორე ანუ მესამე კლასიდგან გამოსული მაგირდ-

რუსთავის პავლე ეპისკოპოსი, რომლის ქვაც სჩანს და წარწერა კი ველარ განიჩევა, თუმცა ფართოთ კი არის ნაწერი ხუცურათ და ქარაგმითა. ამევე, მარცხენა მხარეს ამ ეპისკოპოსის გვერდით, არის საფლავი იოსებ ალავერდელისა, რომელზედაც ოთხი სვეტით იორდანეს მზგავსად შეკრულია და ზეიდა-მაც კუბო ადგამს და კუბოზე გადაფარებულია მისი ძველი სურათი; ეს სურათი კარგა ველარ იხილება.

მკკლესიას აქვს სამოც-და-თოთხმეტი არშინი სიგრძე და ორმოცი არშინი სიგანე მკკლესიას მარჯვენა და მარცხენა მხარეს სვეტები აქვს და ერთს მარჯვენა სვეტში მალლა ეკკლესიაა და მარცხენაში ოთახები. მარცხენა სვეტიდამ მარჯვენა სვეტამდე ბალკონია გაკეთებული ისე, რომ ძირის ეკკლესიიდან კარები მარცხენა სვეტზეა; მასზე ავა კაცი და შემდეგ მარჯვენაზე გადავა; იქიდან ამ მარცხენა სვეტის ოთახიდან არის ასავალი კიდე მალლა, სადაც გარეშამო კიდე ოთახებია სამალავები და საკუჭნავები,

ძალი ერთის ნახვით ძალიან გაჰკვირდება. ძანკელი ჯერაც ისევე ისე მაგრა სდგას. მხატვრობა სრულიებით აღარაფერი სჩანს; ორი ძვირფასი ხატი-ლა დარჩენილა. ერთი წმიდა ბიორგისა, შემოწირული საქართველოს უკანასკნელი მეფის ბიორგის ძის ღვთისაგან და მეორე ხატიც ღვთის-მშობლისა ღვთისთვის მართლის მთავარ არხიებისკოპოსისა, რომელიც სამცხედამ მოუტანია; არივეს წარწერები აქვს.

მკკლესიაში ძველი წიგნებიც ყოფილა, განძეულობაც და ეპისკოპოსის შესამოსელიცა; მაგრამ ყველა ეს ძველი წიგნები და წიფთები ძველი არქიელის ბრძანებით ძალაქში ჩაუტანიათ და ახლა აღარაფერ იცის—სად რა იქნა. აქ ყოფილა ვერცხლის თებები და ეპისკოპოსის სამოსლებზე თვალ-მარგალიტიცა. მს წაღება მომხდარა 1872 წელსა. აქ ყოფილა ერთი სახარება თვალ-მარგალიტით შემკობილი, ნაწერი მეცხრე საუკუნეში და ეს სახარებაც გაუცარცვათ და ის თვლებიც წაუღია მღვდელს ბასხაროვს მესვეი ეგზარხოსის

ბრძანებით. ამ ეკკლესიის შინაგან მოწყობილებაში სხვა აღარაფერია შესანიშნავი.

ბარედამ აკრავს დიდი გალავანი. შიგ გალავანში არის ერთი მარანი, რომელშიაც ორმოცი მეტი ქვევრია ჩაფლული. აქ არის ერთი ქვევრი, რომელშიაც შინ ჩაფი ღვინო ჩადის.

მარნის გვერდზე არის ერთი მეჩითი, რომელიც ამ ჟამად შემუსვრულია. მეჩითში ადრე თათრებიც მოდიოდნენ თურმე და ლოცულობდნენ და ახლა, რადგანაც წაბილწულია, შიგ ეკკლესიაში შემოდინ და იოსებ ალავერდელს თავყანს სცემენ,—ეს ჩემის თვალით ვნახე ახლა.

მეჩითის გვერდით არის წყაროს ადგილი, სადაც ძველად წყალი გამოდიოდა. ბალავნის გვერდზე ჩამოდის წყალი კედლებით შემოტანილი გალავანში და შიგ ყოველთვის თევზები ჰყოლიათ ბერებსა. წყალს გაღმა არის ძველი აბანო ბერებისა; ახლა დაქცეულია.

ალავერდის მარცხენა კედელთან, გარედამ, ოც-და-ოთხი სამწირველო ყო-



ბი, ზოგჯერ კი იქაური გიმნაზიის აგრეთვე მდებარე კლასებში გამოსული შაგირდები, რომლებიც ჯერ თვითონ არიან სასწავლებელი და საწყალ ყმაწვილებს რა უნდა ასწავლონ? იმათი მასწავლებლობა ყოველთვის ამ ანდაზას მაგონებს: „მით გულში არა იყო, მეორეში ყრიდნენო!“ რაც თვითონ არ მიუღიათ, ჩვენ რა უნდა მოვსთხოვოთ, რომ ჩვენ შეიღებს ასწავლონ?!

მართალია, რაც მე ესთქვი ჩვენ სასოფლო შოკოლათზე, ეს ახალ სახალხო შოკოლათების დირექტორს უფ. მარსოვს არ შეეხება, ამ სასწავლებლის ბედლი უფ. შროვს ხელში გადაწყდა, მაგრამ, საუბედუროთ, რაც სხვა სახალხო შოკოლათებს შეეხება, რომლებიც დღეს უფ. მარსოვის ხელში არიან, არც ისინი არიან უმჯობეს მდგომარეობაში, იმათში ისევ ის მასწავლებლები არიან, რომლებიც უფ. შროვს ხელში იყვნენ და სწავლაც ისევე მიჰყავსთ, როგორც იმის ხელში მიყავდათ.

ამ შემთხვევაში უფ. მარსოვს ვალი აქვს ამ სწავლობისაგან დაიხანას ჩვენი სახალხო შოკოლათები და ადვილადაც შეუძლია ეს, თუ მოინდომებს: რაც შეიძლება დღეს რიგიანი მასწავლებლები გამოგზავნოს სოფლებში, რომლებთაც თავის მოვალეობა რიგიანთ ესმოდესთ და ხალხს ნაყოფი აჩვენოს. მაშინ ხალხი, რაკი ერთგან ნახავს, რომ შოკოლათ საზოგადოებას მოუტანს ნამყოფს, მასწავლებლისთვის მისაცემ ჯამაგირს აღარ დაიშურებს. ამ საზოგადოების მიხედვით სხვა საზოგადოებებიც გახსნიან შოკოლათებს; მაშინ იქნება იმისთანა დაშინებულმა საზოგადოებამაც, როგორიც დღეს ჩვენი საზოგადოება არის, მოიბრუნოს გული და ისევ გახსნას შოკოლათ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, არათუ სხვა ახალი სახალხო შოკოლათები გაიხსნენ-

ბიან, იმათ დაუქმებასაც კი უნდა ველოდეთ, რომლებიც დღეს არსებობენ, მაგრამ არაერთარ საზოგადოებას არ აძლევენ იმ საზოგადოებებს, რომლებშიდაც არიან, რადგან ცუდი მასწავლებლები ჰყავთ..

N.

თმატრი

ქართული წარმოდგენა

10 ღვინობისთვის.

ღიდის სიამოვნებით ვნიშნავთ, რომ ჩვენ ახლად-დაარსებულ ტრუპასთან-და-თან უკეთ მიჰყავს წარმოდგენები და ამასთანავე იმას ჩვენის საზოგადოებისგანაც თან-და-თან ემატება ყურადღება და თანაგრძნობა. მისაც თავიდაც უფლია ამ ტრუპის წარმოდგენებზე და ახლაც დაიარება, ის ადვილად შენიშნავს მომეტებულ ნაწილ აქტორებისა და აქტიორების პირველსა და უკანასკნელ თამაშში დიდ განსხვავებას. განსაკუთრებით წარმატება ეტყობა ბაბუნიას ქალს და უფ. მაჩაბელს: ერთი-ორად უფრო ხელოვნურად და მარჯვედ თამაშობენ ახლა ისინი, ვინც პირველად გამოსვლისას და ერთი-ორად უფრო სასიამოვნოა ახლა იმათი ნახვა სცენაზე.

ამ გვარი სასიამოვნო შედეგი მიეწერება, უეჭველია, მეცადინეობას: თუ მოთამაშე ეცდება, ცოტა ნიჭაც რომ ჰქონდეს, მაინც რამე გამოვა იმისაგან, და თუ ნამდვილი ნიჭი აქვს სცენიკური, როგორც მაგ. ბაბუნიას ქალს, მეცადინეობა იმის თამაშს ხო ფრთებს გამოასხავს.

ითქმის არც ერთი მაყურებელი არ გვინახავს ჩვენ ამ უკანასკნელ ოთხშა-

ბათს ქართულს წარმოდგენას, რომ კმაყოფილი, და ზოგი კი აღტაცებული, არ გამოსულიყვეს თეატრიდან.

როგორც მოგვხსენებთ, ამ ოთხშაბათს ითამაშეს: თ. შ. შროვის ოთხმოქმედებიანი კომედია „მაყრა“ და უფ. მეიფარიანის ეოდვილი „მჭვიანი“.

ჩვენ გვახსოვს ადრინდელი წარმოდგენები „მაყრისა“ და თამამად შეგვიძლიან ესთქვათ, რომ თითქმის არც ერთ იმ წარმოდგენებზე ნაკლებათ არ უთამაშნია ახლა ეს პიესა ჩვენს ტრუპას. მართალია, ზოგიერთი როლები სუსტად იყო ასრულებული, როგორც მაგალითად მოსამსახურე ბაბრიელის; სომხისა და ივანისი. მაგრამ არც ამ როლების ასრულება იყო მართლა ისე სუსტი, რომ იმას წაებდნოს საზოგადო კარგი შთაბეჭდილება წარმოდგენისა. მაგიერად ამისთანა შარდაშვერდი (საფაროვისა), პავლე (შ. შროსნიშვილი) და ანდრუყფარი (მაჩაბელი) არცერთ ძველ წარმოდგენებში არ გამოსულა; განსაკუთრებით საფაროვისამ ამ პატარა, თითქმის უმნიშვნელო, როლს სიცოცხლე და სული ჩაუდგა. იქის ქოქოლას დაყრა, იმის მოხდენილი მიხრა-მოხრა სცენაზე და ეშმაკური, მახვილი ლაპარაკი ამტკიცებდნენ, რომ სცენაზე ნამდვილი ნიჭია პატრონი აქტრისა არის.

მაჩაბელმა განსაკუთრებით კარგათ სთქვა პირველი მონოლოგი ანდრუყფარისა. ბაბუნიას ქალმა სომხის ცოლის როლში, უკანასკნელ მოქმედებაში, ცოტა არ იყოს გადაჭარბა, ერთობ მომეტებულს დახტოდა და ფაცხაფუცხოვდა სცენაზე. „რუეთუმი“ ივანე, პიესის აზრით, სრულებით ქარაფშუტა და ცეტიკაცი არის, ის არის მხოლოდ ფანტაზიორი, რომელიც ბევრ რამე ისეთზედ ოცნებობს, რომლიც შესრულება არ

ფილა, რომელიც ამ საუკუნის დასაწყისში დაქვეყნდა და დღესაც აქაჰრია ნაქცევი. ეკლესიას ჰკრი ძალიან გაჭფუტებია: ზევიდამ ხეები ამოსულა, წვიმა რომ მოდის, წყალი ჩადის და ფუჭდება სულ. ბალავანიც დიდს ბინძურობაშია და თუ ასე დარჩა ეს ეკლესია დაუხურავი და წამალ წაუსმელი, ოცი წლის შემდეგ სრულად დაირღვევა, რადგანაც ისევ დარღვეულია წვიმისაგან.

დღესასწაულზე აქ მოდიან მლოცველინ მართლიდამ, ძახეთიდამ, მსეთიდამ, თუშეთიდამ, ხევსურეთიდამ და ძიზიყელებზე ნურაფერს ვიტყვი, რადგანაც მთელი ქიზიყელები აქ იყვნენ, თუმცა განუწყვეტლათ სწვიმდა და დიდი ტალახებიც იყო. სოფ. ნიფარეულის მახლობლივ სამოც სახედრამდის მოუტაცნია ალაზნის ქიზიყელებისა გაღმა გასვლის დროს; როცა შან ბრუნდებოდნენ, იძახიან ყმაწვილებიც წაუღია.

ძალიან დიდი ხალხი დაესწრო წლევანდელ ალავერდობაზე, თუმცა მიიმეტ სწვიმდა და მომსელები სულ ბედს

იწყევლიდნენ. აქ დაესწრნენ მთელი ძახეთის თაყად-აზნაურები, რომლებიც დღინოს წყალსავით დვრიდნენ და მეტის ლოთობით ტალახებში დაბობდადნენ, ერთმანეთს ლანძღავდნენ. აქ დაესწრო სხვათა შორის თელავის უფლის უფროსი, რომელიც ყოველად-უსამღვდელოესის ალექსანდრე ეპისკოპოსის ქართულმა წირვამ და გალობამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა, რომ ქართველ მაგლობლებს 100 მანეთამდის შეგროვილი ფული აჩუქა.

ამდენი მთიულები მოაწყდნენ, მაგრამ სწორზედაც სცოდნიათ კიდევ მოსვლა, მეორე პარასკევს 21 სექტემბერს. მართო სიღნაღიდამ ოთხას ურამადის მოვიდნენ თუშები, მისტები და სხვებიც ბევრნი.

აქ პოლოს-მარტირუხებს იარმუკობა სცოდნიათ და ჩვეულებრივად კავიკიანს ნიეთში აბაზის აღება. მაგრამ მაინც კი ძალიან სწუხდნენ, რომ წრეულს თელავის ეპტრები ეპტრობას მოაკლდნენ წვიმისაგანაო.

თუშ-შმაგ-ძისტებს ცხენები ჰყვანდათ და საშინელი ჯდომა და ჰენება სცოდნიათ; მეტის-მეტი ლამაზი ხალხიც ყოფილა. მრთმა თუშმა მეორეს თოფი ესროლა, ვისგანაც სისხლი უნდა აეღო; არ მოხვდა და სხვას მუხლში გაუარა; დაჭრილმა აპატია და არ დაიჭირეს. ასეთი წესი ჰქონიათ მათ ამისთანა შემთხვევის დროს.

აქ დაიკლა 700 ცხვარი, 1000 ქათამზე მეტი, 40 მოზერები.

მართო ძაზიყიდამ ორმოცამდის მეტი მკითხავები იყვნენ მოსულნი და თითქმის კაცსა და დედაკაცს ვერ ნახავდით, რომ ყელზე რამე არ ბმოდეს და ტანზედ წითელი კაბა და ან თეთრი. ძალაქიდამ ჯიბის ოსტატებიც მოვიდნენ და ბევრი გლეხი გაქურდეს.

ზ. მთაწმინდელი.

23 სექტემბერს.



შეუძლიან. ფუ. პ. შიფიანი ისე გიჟურად გამორჩადა სცენაზე და საზოგადოთ ამას ისე ეჭირა თავი, რომ ივანე სულელი და შერეტილი გვეგონებოდათ.

თეითონ პიესა „ბაყრა“ რაღა თქვა უნდა, ძალიან სცენიკური პიესა არის. მაგრამ იმას აქვს ზოგიერთი ისეთი ნაკლებულევალება, რომელიც მოთამაშეს უშლის ხეირიანად თამაშს, რომელიც ნამდვილად, რიგიანად ვერ გამოხატავს ზოგადრთ მომქმედ პირების ხასიათსა. აქედამ წარმოსდგება, ჩვენის ჰაზრით, ის, რომ ზოგიერთ ნიჭიერ მოთამაშეებს, როგორც მაგ. პ. შიფიანს, ვერ წარმოუდგენია კარგათ როლი. ამას გარდა გვეგონია, ურიგო არ იქნება, რომ სომხის როლის მოთამაშემ რაც შეიძლება ნაკლებად გაიმეოროს „ემე, ექენ“ და სხვა ამგვარი სიტყვები, რომელნიც, თუ არ ახდენენ შთაბეჭდილებას, არას უმატებენ. ამომედიანში სასაცილო სიტყვები კი არ უნდა აცინებდეს მაყურებელს, არამედ სასაცილო მდგომარეობა და მოქმედება მომქმედ პირებისა.

„ნიჭიანის“ წარმოდგენა ამ-ჯერობით ცოტათი უფრო სუსტად წავიდა, ვინემ აღრე გვინახავ; საფაროვის ქალი ახლაც ურიგოთ არ თამაშობდა, მაგრამ ეს როლი იმან ამას წინაზე უკეთ წარმოდგინა. პ. მესხის თამაში, ეჭვიან ქმრის როლში, არაფრით არ ჩამოუყარდებოდა უკან ფუ. მ. აბაშიძის თამაშს.

წარმოდგენის შემდეგ ფუ. პ. მესხმა წაიკითხა თ. რაფ. შრისთვის იმერული სცენა — „ნივლიანე ლლონტის ნამბობი.“ წაიკითხა ისე კარგათ, ისე მარტივად და გადაუტარებელად, რომ საზოგადოებამ რამდენჯერმე ერთ-ხმიანი ტაშით დაასაჩუქრა. ჩვენ მოგვეწონა განსაკუთრებით ის, რომ ფუ. პ. მესხი ისე არ იმანჭებოდა და არ იგრიხებოდა, ისე უხეიროდ არ უქცევდა კილოს ყოველ ქართულ სიტყვას, როგორც ზოგიერთ იმერლის როლის მოთამაშეებმა

შემოიღეს ჩვენს სცენაზე ჩვეულებათა. ია ლაპარაკობდა უბრალოდ, დაუგრეხელად, სწორედ ისე, როგორც ნამდვილი, ხაში იმერელი ილაპარაკებს.

ზაბუნის ქალმა ვასულ ოთხშაბათს უკეთ იმღერა, ვინემ გუშინ-წინ. ზაბუნის ქალის სიმღერაში საზოგადოთ გრძნობა არა აქვს, მაგრამ ახლა როგორღაც სულ ცივად გამოსმოდა იმის ხმა.

განცხადებანი

შველა წიგნების მალაზიებში თფილისში და შუთაისში ისყიდება

თავარ ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა
ზადმოკეთებული პ. მესხისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოენიკებისა და პასტაილი დვორების პატრონებს, რომ, თანხმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებული არიან ამ ოქტომბრის (დენობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებებისათვის ჯაროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ ასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოენიკებსა და პასტაილი დვორებს შურავე უეჭველად მოშავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

(3—2)

შუთაისში, მიხაილოვნი ქაქუცაძის, სინოვის სახლებში, ივანე შიფიანის მალაზიური ისყიდება ნამდვილი, თეთ-

წმინდა (თაფლის) სანთელი

შპი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იათია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე თფილისშია, სინოვის ულიცაზედ, მანანოვის ქარვასლაში.

(10—10)

თფილისის ქალაქის თავისაგან

თფილისის ქალაქის თავი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ მდგომარე დენობისთვის 9-ს თფილისში მოვა შემალღესად დამტკიცებული სამხრეთ-დმოსავლეთის რკინის გზის პოლკომისია დასახედავად შოთი-თფილისის რკინის გზისა და მისადებად იმ საჩივრებისა (ნაწერის და სიტყვიერის), რომელიც კი ექნებათ როგორც პასაჟირებს, ამ გზაზე მოგზაურობს, აგრეთვე საქონლის გამგზავნ-გამომგზავნიით. ამის გამო ქალაქის თავი ვალად რაცხს შეეცადონს ყველა უწყებათა და კერძო პირთ, რომელთ-ც ამგვარი დაწერილი ანუ პირადი საჩივრების განცხადება პირ-და-პირ პოლკომისიისათვის, რომელიმე მიზნის გამო, არ ეხერხებათ, რომ ეს საჩივრები გამოაცხადონ ქალაქის გამგეობაში (შურავეში), რომელიც იმათ თავის დროზე თეითონ გარდასცემს ხსენებულ პოლკომისიას.

(3—3)

რ. ბ. ზ. ა.	დ. ი. ა.	ს. ა. მ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალ. ო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან		თფილისი 9 ოქტომბ.		ქრეფ. მ. ი. ა., წინ-მძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქავასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქვ. თფ. ბანჯისა ფუთ.	2 55	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდგესას, მოსკოვს, პეტრობურღს, შარშავს	2	შქვ. წითელი	2 20	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: ლისიცივი და მარალევიჩი—შინაგ. აგათმყოფობის.
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	მსხალეთში, შვეიცარიაში	2	შქვ. ფუთი	1 40	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმეოვი შინაგ. აგათმყოფ.; რეიხი—თვალის, შურავე-
სურამი	1 44		4 90	2 61	იტალიაში და საფრანგეთში	3	ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	8 65	ღვეი—ვენერიულის, და კანის; ბა-
შუ. რილა	5 49		7 21	3 69	ინგლისში	3 50	ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	11 70	ბოვი—გულისა და შინაგ.
რონი	6 57		8 44	4 31	ზოჩბა	3 75	ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	8 20	მ. თ. ხ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: ლისიცივი—ში-
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუღდ. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ძახეთს—სამშ. და შაბ. ბ) შუთაი-		ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	3 70	ნაგ, ასტუარ-ტურთოვი—ქალისა და ბავშვების აგათმყოფ.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ილამ: თფილისის და შოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მ. ზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	2 10	ხუთ შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმეოვი—ში-
შოთი	9 50		12 24	6 26	წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:		ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	5 80	ნაგ. აგათმყოფ. და შურაველი—კანის და ვენერიულის.
შოთი	9 3				ლია წიგნის		ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	7 60	პარასკ. ასკეცს იქნებიან: ლისი-
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8	დაბეჭდილის (სამი მისხალი)		ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.	11 65	ცივი, შინაგ.; ასტუარ-ტურთოვი—ვე-
სამტრედია	11 5		2 61	1 33			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		ნერ. და კანის; ბაბავეი—გულისა და შინაგ. აგათმყოფ.
რონი	12 13		3 84	1 97			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმეოვი, შინაგ.; შურა-
შვირილა	1 18	დამე.	5 3	2 56			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		ავღვეი.—ვენერ. და კანის რეიხი—
სურამი	5 12		11 07	3 74			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		თვალის.
ხაშური	5 39		1 37	7 51			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		
ზორი	7 5		4 89	2 47			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		
მცხეთა	8 50		6 59	11 39			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		
თფილისი	9 31		7 56	12 24			ბანჯ. ტალი ბაბა ფუთი.		